

- საბაუო და გარემოს დაცვის შესაბამისი სამსახურები;
- თავდაცვის სისტემაში – ქიმიური პროფილის ლაბორატორიები და საორგანიზაციო სტრუქტურები;
- ქიმიური ექსპერტიზის აკრედიტირებული ლაბორატორიები;
- ნავთობ გადადამამუშავებელი და ნავთობქიმიური საწარმოები.
- ქიმიურ-ფარმაცევტული დაწესებულებები და საწარმოები.

სწავლის შედეგი:

პროგრამის გავლის შემდეგ ბაკალავრს მიეცემა საფუძვლიანი განათლება ქიმიის ძირითად დისციპლინებში. ბაკალავრი დაეუფლება ქიმიკოსისათვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამის აუცილებელ ექსპერიმენტულ უნარ-ჩვევებს ქიმიურ ნაერთთა სინთეზისა და ანალიზის სფეროში; ზემოაღნიშნული პროგრამით მიღებული საბაზო განათლების შემდეგ ქიმიის ბაკალავრი შეძლებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურასა და შემდგომ დოქტორანტურაში, კვლევის თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებას, აგრეთვე სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის

საკონტაქტო ინფორმაცია :

პროგრამის ხელმძღვანელები :

შოთა სამსონია - პროფ. 226810

ბეჟან ჭანგვეტაძე - პროფ. 913369

ნოდარ ლეკიშვილი - პროფ. 294794

რამაზ გახოკიძე - პროფ. 251553

ომარ მუკბანიანი - პროფ. 250475

ოსებ ჩიკვაძე - პროფ. 250813

პროგრამის კოორდინატორი:

პროფესორი შოთა სამსონია

თსუ II კორპუსი, ოთახი N169, ტელ. 226810

ელ-ფოსტა: shota.samsonia@tsu.ge

სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი
ვაჟა ცხოვრებაშვილი

თსუ II კორპუსი, ოთახი 221, ტელ. ; 294923.

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

„ქიმია“

Chemistry



<http://www.tsu.ge/geo/bachprograms1.asp>

თბილისი

2010

პროგრამის შესახებ

პროგრამა შემუშავებულია TUNING-ის პროექტის ფარგლებში და ემყარება ევროპული კრედიტების ტრანსფერის (ESTC) და დაგროვების სისტემას და სრულად პასუხობს ბოლონის პრინციპებსა და განათლების ევროპული სტანდარტების მოთხოვნებს ყველა მიმართულებით. სასწავლო პროცესს წარმართავენ დარგის საუკეთესო სპეციალისტები.

საბაკალავრო პროგრამის მიზანი:

ფუნდამენტური განათლების მიცემა (240 კრედიტი) – ზოგად და არაორგანულ, ორგანულ, ფიზიკურ, ანალიზურ, ბიოლოგიურ, კოლოიდურ, მაკრომოლეკულების, ბუნებრივი ნაერთებისა და კომპლექსური ნაერთების ქიმიაში; აგრეთვე, ექსპერიმენტული მეთოდების, ქიმიურ პროცესების მექანიზმების, ასევე ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკის ძირითადი საფუძვლების შესწავლა; დამოუკიდებელი მუშაობის უნარჩვევების გამომუშავება; სტუდენტთა სურვილით, დამატებითი ჯგუფების შექმნის შემთხვევაში 240 კრედიტიდან 60 კრედიტი დაეთმობა შესაბამის სასპეციალიზაციო მოდულებს: ქიმიური ექსპერტიზა, ნავთობის ქიმია, ფარმაცოქიმია, რაც ზღვიერება დიპლომის დანართში. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას. პროგრამა შედგება 4 სასპეციალიზო მოდულისგან - "ქიმია", "ფარმაცოქიმია", "ნავთობის ქიმია", "ქიმიური ექსპერტიზა".

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ESTC კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

60 ESTC – საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საგნები.

180 ESTC- ძირითადი (major) სპეციალობის საგნები), რომელშიც გათვალისწინებულია სასპეციალიზაციო მოდულების 60 კრედიტი.

კომპეტენციები

1. დარგის ცოდნა და გაცნობიერება:
 - ქიმიის ძირითადი ფაქტების, კონცეფციების, პრინციპებისა და თეორიების ცოდნა და გაცნობიერება;
 - იცის და აცნობიერებს ქიმიური გაზომვების ოპტიმალური მეცნიერული მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობას; ქიმიურ ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობა;
2. ქიმიასთან დაკავშირებული უნარები:
 - ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხო მუშაობის უნარი; ლაბორატორიაში მუშაობის სტანდარტული უნარები;
 - ექსპერიმენტის მსვლელობაზე დაკვირვების, გაზომვისა და ინფორმაციის წერილობითი სახით გაფორმების უნარი; ლაბორატორიული პროცედურების ჩატარებისას

- ქიმიურ ნაერთებთან მუშაობის რისკის შეფასების უნარი;
- ქიმიური ტერმინოლოგიის ცოდნისა და გამოყენების უნარი; ექსპერიმენტით მიღებული მონაცემების მნიშვნელობის გარკვევა კლასიკური და თანამედროვე თეორიების ჩარჩოებში;

3. ზოგადი / ტრანსფერული უნარები:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის და სინთეზის უნარი; ქიმიის დარგში მნიშვნელოვანი ფაქტების, კონცეფციების და პრინციპების ცოდნისა და დემონსტრაციის უნარი;
- თანამედროვე კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქიმიაში გამოყენების უნარი;
- საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარი; ცოდნის განახლების უნარი
-

დასაქმების სფეროები:

- შესაბამისი პროფილის სასწავლო - საკვლევი დაწესებულებები;
- ქიმიური პროფილის საწარმოები და ფირმები;
- სათბობ-ენერგეტიკული დანიშნულებისა და მეტალურგიული წარმოებები; ქიმიურ-ფარმაცევტული, შხამ-ქიმიკატური წარმოებისა და გამოყენების სფეროები (მაგ. სოფლის მეურნეობა);
- კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები;